

**კავშირებითი კილოს გადმოცემის საშუალებანი
ქართულსა და თურქულში
THE VARIETIES OF EXPRESSION
OF SUBJUNCTIVE MOOD IN
GEORGIAN AND TURKISH**

ჰარუნ ჩიმქე

რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რიზე, თურქეთი

Harun Cimke

Recep Tayyip Erdogan University
Rize, Turkey.

ABSTRACT

The system of expression of the verb mood differs across all languages. The current article examines the varieties of expression of the subjunctive mood in Georgian and Turkish, in particular, we try to determine the grammatical options of the expression of subjunctive mood in Georgian into Turkish language.

In general, the category of verb moods in Georgian is considered to be a complicated and much-discussed issue. In the scholarly literature, we encounter different points of views in reference to the quantity of the verb moods in Georgian language. Some scholars consider the number of moods to be 3, some consider 4, and others - 5, whereas in total it could be up to 7. In the modern Georgian grammars, 3 verb moods are identified: indicative, subjunctive and imperative. The rest, which could not establish their place in Georgian language are: conditional, optative, interdictive and causative.

In the Turkish linguistic literature, we have 5 categories of verb moods, which are: indicative, imperative, mood of obligation, optative and deprecativ-conditional. In Georgian language, the verb mood is not accompanied with any grammatical mark, whereas the verb mood does not possess any marks. It is one of the elements of the verb screeve and is expressed with the form of verb screeve, whereas in Turkish language each grammatical mood is marked.

Compared to Georgian, the verb mood is a relatively well-expressed grammatical category in Turkish: each mood has its own mark, while in Georgian language, the verb moods do not have any special marks, and therefore it is mostly considered to be a semantic category.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, თურქული ენა, კილოს კატეგორია, კავშირებითი კილო, ზმნის ფორმანარმოება.

Keywords: Georgian Language, Turkish Language, Category of verb moods, Subjunctive mood, Verb Formation.

სხვადასხვა აგებულების მქონე ენებთან ქართული ენის შედარება ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. ეს ეხება კილოს კატეგორიის გადმოცემასაც. შეიძლება ითქვას, რომ ენებს შორის სტილისტიკური თუ გრამატიკული განსხვავებები, რომლებიც კილოსთან დაკავშირებით ხშირად იჩენს თავს, მეტწილად ქართული ზმნის თავისებურებათა შედეგია.

ქართულში კილოს კატეგორია ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადავო საკითხია. ზმნის სისტემაში დროის ტოლფას კატეგორიად მიიჩნევა კილოც. კილოს განიხილავენ ჩვეულებრივ ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიად. ა. შანიძის აზრით, იგი მწკრივის ელემენტია და უცვალელებელია მწკრივის ფარგლებში (შანიძე 73: 205-209). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კილო უფრო რთულ კატეგორიად არის მიჩნეული, ვიდრე დრო. კილოს კატეგორიასთან დაკავშირებულ საკითხთა სირთულეს ისიც განაპირობებს, რომ საკამათოა ზმნის კილოს რაოდენობაც. არნ. ჩიქობავას აზრით, კილო ქართულში ოთხია: თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი და პირობითი. უფრო ადრინდელ შრომაში განხილულია ნატვრითიც (ჩიქობავა 1952: 276).

ა. შანიძე ასახელებს ზმნის სამ კილოს, რომლებიც დამკვიდრებულია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. ესენია: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. გარდა ამისა, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ გამოყოფილია კიდევ ოთხი კილო: თხოვნითი, აკრძალვითი, პირობითი და შედეგობითი (შანიძე 1973: 205-209).

ბ. გოგოლაშვილი კილოს რაოდენობის შესახებ აღნიშნავს: „მხოლოდ წარმოდგენილი თვალსაზრისების გაცნობაც საკმარისია, რომ ვაკეთდეს დასკვნა, რამდენად რთულია და საკამათო კილოს კატეგორია. სიმრავლე და აზრთა სხვადასხვაობა კილოს კატეგორიაში შემავალ ერთეულთა შესახებ პრაქტიკული გრამატიკებიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება“ (გოგოლაშვილი 1998: 70-71).

გ. გოგოლაშვილს გაერთიანებული აქვს სხვადასხვა ავტორის მიხედვით დასახელებულ კილოთა რაოდენობა და გამოყოფს ათ კილოს. ესენია: 1. თხრობითი, 2. კავშირებითი, 3. ბრძანებითი, 4. თხოვნითი, 5. აკრძალვითი, 6. პირობითი, 7. შედეგობითი, 8. ნატვრითი, 9. რეალური და 10. ირეალური (იქვე: 116).

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზეც, კილო მორფოლოგიური კატეგორიაა თუ სემანტიკური. იმდენად, რამდენადაც ქართულში კილო, დროის კატეგორიის მსგავსად, არ არის მარკირებული, უფრო მისაღებია შეხედულება კილოს სემანტიკურ კატეგორიად მიჩნევის შესახებ. ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ სემანტიკური კატეგორიები, როგორც წესი, გამოიხატება სპეციალური მორფოლოგიური საშუალებებით, მაგრამ ისინი შეიძლება გამოიხატოს არამორფოლოგიურად, ე.ი. აღწერითად, ლექსიკურად ან კონტექსტით... (ჯორბენაძე 1986: 134-136).

ქართულთან შედარებით თურქულში კილო გამოკვეთილი მორფოლოგიური კატეგორიაა, ყველა კილოს თავ-თავისი ნიშანი აქვს. კილოთა რაოდენობაც არ არის სადავო, დაზუსტებულია. სალიტერატურო თურქულში გამოიყოფა ხუთი კილო: თხრობითი, პირობით-სურვილობითი, ბრძანებითი, ნატვრითი, აუცილებლობითი. თურქულ გრამატიკებში თხრობითი კილო, იგივე „გადმოცემითი“, განიხილება ცალკე, რადგან მხოლოდ ამ კილოს საშუალებით გადმოიცემა თურქულში ძირითადი დროები, დანარჩენი ოთხი კილო კი გაერთიანებულია ერთ ჯგუფში, რომელსაც „წარმოსახვითს“ უწოდებენ. ნატვრითი და პირობით-სურვილობითი (მოკლედ „პირობითი“) დამოუკიდებელი კილოებია (ბძანებითისა და აუცილებლობითის მსგავსად). ნატვრითი კილო გამოხატავს მოქმედების შესრულების სურვილს, ნატვრას, პირობით-სურვილობითი კი – ძირითადად მოქმედების პირობითობას, აგრეთვე სურვილს (Korkmaz 2017: 576-577).

ქართული ზმნის კილოს გადმოცემისას თურქულში საკმაოდ საინტერესო სურათი იქმნება. სტატიაში განვიხილავთ ქართულის კავშირებითი კილოს თვისებებსა და მისი თურქულში გადმოცემის საშუალებებს.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ კავშირებითი კილო ქართულში გრამატიკულად გამოხატული კატეგორიაა: კავშირებითი კილოს ფორმა მორფოლოგიურად განსხვავებულია თხრობითი კილოს ფორმებისაგან (შანიძე 1973: 204; კვაჭაძე 1993: 210-211). კავშირებითი კილო წარმოდგენილია სამი მწკრივით: I კავშირებითის ანუ აწმყოს კავშირებითის, II კავშირებითისა და III კავშირებითის ფორმებით. მყოფადის კავშირებითის ჩამოყალიბება რამდენადმე შეფერხდა და, თაქტობრივად, იგი გამოხატავს დროულ თანამიმდევრობას, თუმცა მოდალური შინაარსი რამდენადმე მაინც შენარჩუნებული აქვს: გამოხატავს ნატვრითობას (ვაპიძე 1983: 74). შინაარსით კავშირებითი კილო გამოხატავს ირეალურ მოქმედებას და წარმოგვიდგენს მას როგორც შესაძლებელს, საფარაუდოს, სასურველს და ა.შ. შესაბამისი მოდალური შინაარსის გამოსახატავად გამოყენებულია საკუთრივ კავშირებითი კილოს ფორმები როგორც დამოუკიდებლად, ისე (უმრავლეს შემთხვევაში) კავშირებთან, მოდალურ ზმნებთან და ნაწილაკებთან ერთად. მოდალური შინაარსის გადმოცემისას აღსანიშნავია ფართო კონტექსტის როლიც. ქართულში კავშირებითის შინაარსის გამოსახატავად გამოყენებულია არამოდალურ კილოთა ფორმებიც, ცალკეული მოდალური სიტყვებისა და ნაწილაკების დახმარებით.

კავშირებითი კილოს გადმოცემის სხვადასხვა ფუნქციურ-სემანტიკური საშუალებიდან ქართულში წამყვანი როლი ზმნის ფორმას აქვს დაკისრებული. ამის გამოა, რომ კავშირებითი კილოს გადმოსაცემად თანამედროვე ქართულში ყველაზე ხშირად ნაკვთი მონაწილეობს (ვაპიძე 1983: 59).

კავშირებითი კილოს ფორმასა და შინაარსს შორის არსებული შეუსაბამობა, რაც ზოგჯერ აძნელებს კილოური სემანტიკის დადგენას, აშკარად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ თანამედროვე ქართულში კილოს, და კერძოდ, კავშირებითი კილოს, მორფოლოგიური კატეგორია დარღვეულია (პაპიძე 1987: 59-62), მაგრამ მოდალური სემანტიკის აღნიშვნის თვალსაზრისით იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს და გარკვეულ შემთხვევებში იფართოებს თავის სფეროს.

ზმნის კავშირებითი ან თხრობითი კილოს გამოყენებით იქმნება მოდალური სემანტიკა. „ქართულ ენაში კილოს კატეგორია ზმნის უღლების პარადიგმის შემადგენელი ნაწილია და რამდენიმე მწკრივითაა წარმოდგენილი. კავშირებითი კილოს ფორმები ძირითადად გამოიყენება რომელიმე მოდალურ ფორმასთან ერთად ან რთული წინადადების შემადგენელ დამოკიდებულ წინადადებაში“ (Sharashenidze 2017: 111).

ზმნის კილოს ფორმები წინადადების მოდალობის გამოხატვის ძირითადი მორფოლოგიური საშუალებაა. ასე, მაგალითად, თხრობითი კილოს ფორმა, როცა ის თავისი პირდაპირი ანუ ძირითადი მნიშვნელობით არის ნახმარი, გამოხატავს მოქმედებას, როგორც ფაქტს, რომელიც ხდება ერთ-ერთ დროში. კავშირებითი კილოს ფორმა მოქმედებას წარმოგვიდგენს არა როგორც ფაქტს, არამედ როგორც სასურველს თუ შესაძლებელს; ბრძანებითი კილოს ფორმა კი გადმოგვცემს მოქმედების ნება-სურვილს, რომელიც უნდა შესრულდეს“ (კვაჭაძე 1988: 31).

მოდალური შინაარსის გადმოცემა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წინადადების სინტაქსურ კონსტრუქციაზე. თანამედროვე ქართულში ამ ფუნქციით გამოიყენება ე.წ. ინფინიტიური კონსტრუქცია, რომელიც შედგება მოდალური შინაარსის ზმნების ან მოდალური ნაწილაკებისაგან, ერთი მხრივ, და სახელზმნის ან კავშირებითის ფორმებისაგან, მეორე მხრივ. ძირითადი სემანტიკური დატვირთვა მოდის კავშირებითის ფორმაზე, მოდალური ზმნები და ნაწილაკები კი მოდალურ ელფერს სძენენ კონსტრუქციას (პაპიძე 1981: 155-163).

თურქულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნის კილოს რაოდენობა ხუთია. ესენია: თხრობითი, ბრძანებითი, აუცილებლობითი, ნატვრითი და თხოვნით-პირობითი. ქართულში ზმნის კილო გაფორმებული არ არის გრამატიკული ნიშნით, ანუ კილოს არ გააჩნია ნიშანი. იგი მწკრივის ერთ-ერთი ელემენტია და გამოიხატება რომელიმე მწკრივის ფორმით, თურქულში კი ყველა სხვადასხვა კილო მარკირებულია.

ქართულში სულ არის კავშირებითი კილოს გამოხატველი ოთხი მწკრივი: I სერიის აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი; II სერიისა – მეორე კავშირებითი და მესამე სერიისა – მესამე კავშირებითი. განვიხილავთ ამ მწკრივთა ფუნქციებსა და თურქულად გადმოცემის საშუალებებს:

ა. ანმყოს კავშირებითი. როგორც ცნობილია, ანმყოს კავშირებითი ცალკე მწკრივად ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც I კავშირებითის დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა ანმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი. ანმყოს კავშირებითი თანამედროვე ქართულში გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით:

1. ანმყოს კავშირებითის დიდ უმრავლესობაში გამოხატულია **ზოგადდროულობა** (პაპიძე 1984: 85).

ქართული ზმნის კილოს გადმოცემისას თურქულში საკმაოდ საინტერესო სურათი იქმნება. კერძოდ, წინადადებაში – „მივხვდი, სასაცილოა, იჯდე ამ გამოყრეხულ რაიონში და კაცობრიობის ნათელ მომავალზე ფიქრობდე“ = თურქ. „Sessizliğe bürünmüş bu kasabada oturup insanlığın geleceğini düşünmenin günlüğü olduğunun farkına vardım“ – ანმყოს კავშირებითის ფორმა თურქულად ითარგმნება სახელზმნით (Düşünmenin), ხოლო წინადადებაში – „მე ბავშვი არ ვარ, რომ ემოციურ განცხადებებს ვაკეთებდე“ = თურქ. „Ben duygusal konuşma yapacak bir çocuk değilim“ – ანმყოს კავშირებითის ფორმა თურქულად გადმოღის მიმღეობის ფორმით (“Yapacak”)...

2. **განგრძობითობა.** დიურატიულობა ანმყოს კავშირებითის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ამ თვალსაზრისით იგი უპირისპირდება მყოფადის კავშირებითსა და მეორე კავშირებითს (იქვე: 88). მაგალითად, წინადადებაში – „არავითარი სურვილი არ მაქვს, ჩემი შვილი ისე იტანჯებოდეს, როგორც მე ვიტანჯები (გ. ფანჯ.)“ = თურქ. „Hiçbir şekilde benim eziyet çektiğim gibi çocuğumun da eziyet çekmesini arzu etmem“ – ქართულის განგრძობითი ფუნქციის მატარებელი ანმყოს კავშირებითი თურქულად სახელზმნის „Eziyet çekmesini“ ფორმითაა გადმოცემული...

3. **პირობითობა.** ხშირად რთულ ქვეყნობილ წინადადებაში ანმყოს კავშირებითი პირობითობას გამოხატავს (იქვე: 94). მაგალითად, წინადადებაში – „ეს რომ არ უშლიდეს ხელს, პირველი კლასის მოთამაშე იქნებოდა (საუნჯე)“ = თურქ. „Bu ona engel çıkarmasa birinci sınıf oyuncu olurdu“ – ქართული და თურქული შემთხვევა პირობითობის გამოხატვის მხრივ. ანმყოს კავშირებითის ფორმა თურქულშიც პირობის კილოთი აღინიშნება...

4. **ნატვრითობა.** ნატვრითი მოდალობის გადმოცემა კავშირებითი კილოს ნაკვეთა ერთ-ერთი გამოკვეთილი და დამახასიათებელი ფუნქციაა. ამის გამო ისინი ხშირად მონაწილეობენ ამ შინაარსის გამომხატველ მყარ გამონათქვამებში (იქვე: 96). მაგალითად, წინადადებაში – „ნეტავი იყიდებოდე და მე ვიყო შენი ვაჭარი“ = თურქ. „Keşke satılsan da ben senin alıcın olsam“ – ქართული და თურქული ფორმები სემანტიკურად ერთმანეთს, ოღონდ ფორმოზოლოგიურად თურქულში ნატვრითი კილოს მაგივრად თხოვნითი კილოს ნიშანია გამოყენებული (-sa/-se, -satılsan) ქართულის ანმყოს კავშირებითის ფორმის შესაბამისად...

5. **ბრძანებითობა.** ანმყოს კავშირებითი ალინიშნება ძირითადად ბრძანებითი კილოს მუქარისა და მონოდების მოდალობები (იქვე: 97). მაგალითად, წინადადების – „ჩემი გეშინოდეთ!“ = თურქ. „Benden korkun!“ – თურქულ ვარიანტშიც ჩვეულებრივად არის გამოხატული ბრძანება („Korkun!“)...

6. **მიმსგავსება.** ქართულის ანმყოს კავშირებითის ფორმა „თითქოს“ ნაწილაკთან ერთად გამოხატავს მიმსგავსების ელფერს. მაგალითად, წინადადებაში – „გზადაბნეული დავაბიჯებ მე მის ქარებზე, ფრთხილად, თითქოს ახალშობილ ბაბლს ვეხებოდე („ცისკ.“)“ = თურქ. „Sanki yeni doğmuş çocuğa dokunuyor gibi, onun gölgesine yolunu kaybetmişcesine basıyorum“ – ანმყოს კავშირებითის ფორმას მიმსგავსების ელფერს, ჩვენი აზრით, „თითქოს“ ნაწილაკი აძლევს. თურქულ თარგმანში „ვეხებოდე“ ზმნის ფორმა „dokunuyor gibi = თითქოს ვეხები“ ფორმით არის გადმოცემული. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ანმყოს კავშირებითი არის განზოგადებული აზრის მატარებელი. ამას ადასტურებს ა. ჰაჰიდის მოსაზრება, რომ ამგვარ კონსტრუქციაში გამოიყენება III კავშირებითი და სურათი ზუსტად ისეთივე იქნება, როგორც ანმყოს კავშირებითის შემთხვევაში (იქვე: 98.).

7. **ვალდებულება, აუცილებლობა.** უნდა ნაწილაკი კავშირებითის ნაკვეთთან ერთად გამოხატავს კატეგორიულობას, ვალდებულებასა და აუცილებლობას. თანამედროვე ქართულში უნდა ნაწილაკი გამოიყენება სამ მწკრივთან: ანმყოს კავშირებითთან, II კავშირებითთან და II შედეგობითთან. მაგალითად, „თავადს – თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს – გლეხობა („ილია“)“ = თურქ. „Beyin bey olduğü, köylünün de köylü olduğü anlaşılmalı (İlia)“. უნდა ნაწილაკის გამო ორივე ენაში გამოხატულია ვალდებულება.

8. **ვარაუდი, ეჭვი.** უნდა ნაწილაკიანმა ანმყოს კავშირებითმა შეიძლება გამოხატოს ვარაუდისა და ეჭვის მნიშვნელობა. მაგ., „ეს ამბავი რაღაცას უნდა ნიშნავდეს (ჯ. ქარჩხ.), ისე კი ძალიან ლამაზი თვალები უნდა ჰქონდეს“ = თურქ. „Bu haberin bir anlamı olmalı (C. Karçh.), Normalde çok güzel gözleri olmalı“. პირველი წინადადება ეჭვის მატარებელია, ხოლო მეორე – ვარაუდისა. ორივე შემთხვევაში თურქულიც იმავე მნიშვნელობას ატარებს, რაც ქართულშია.

ქართულში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ანმყოს კავშირებითი შესაბამისი ნაწილაკების (შეიძლება, იქნებ, თითქოს...) გარეშეც გამოხატავს ეჭვისა და ვარაუდის მნიშვნელობას. მაგალითად, „თან ვხედავ, როგორ აცეკვებს ეს კაცი თვალებს, ვინმე არ გვისმენდესო“ = თურქ. „Hem de bu adamın bizi kimse dinlemesin diye gözlerini nasıl da oynattığı görüyorum“ – წინადადებაში ანმყოს კავშირებითი ფორმა თურქულად ბრძანებითის ფორმითაა გადმოცემული. ასეთ შემთხვევებში შინაარსის გადმოსაცემად სემანტიკური მხარეა მთავარი.

9. **რიტორიკული ხასიათი.** უნდა ნაწილაკი აწმყოს კავშირებითთან ხშირად გამოიყენება რიტორიკულ წინადადებებში (იქვე: 102). მაგალითად, „რისი უნდა მეშინოდეს; რა უნდა მრცხვენოდეს; რა უნდა მინდოდეს...!“ = თურქ. „Neden korkmalıyım; Neden utanmalıyım; Ne isteyebilirim?“ ქართული უნდა ნაწილაკიანი აწმყოს კავშირებითის ფორმების თურქულში გადატანისას გვხვდება საინტერესო სურათი, კერძოდ, პირველი ორი წინადადება ზუსტად გამოხატავს აუცილებლობას „korkmalıyım, utanmalıyım“, ხოლო ბოლო წინადადებით გადმოცემულია შესაძლებლობის მნიშვნელობა „isteyebilirim“, რაც აწმყოს კავშირებითიანი უნდა ნაწილაკის ერთ-ერთი ფუნქციაა.

ა. პაპიძის დაკვირვებით, აწმყოს კავშირებითს ახასიათებს დროული განუსაზღვრელობა და თავისუფლება რომელიმე კონკრეტული დროული დაკონკრეტებისაგან (პაპიძე 1984: 108).

ბ. **მყოფადის კავშირებითი.** ქართული ენის ისტორიაში I კავშირებითი დიდხანს იცავდა აწმყოს კავშირებითისა და მყოფადის კავშირებითის მნიშვნელობას. თანამედროვე ქართულში კი ისინი ერთ ჯგუფში ორი მწკრივის სახით არის გაერთიანებული. ამათგან ქართული ენის უღლებს სისტემაში ყველაზე გვიან ჩამოყალიბდა მყოფადის კავშირებითი.

გამოყენების თვალსაზრისით მყოფადის კავშირებითი უპირისპირდება აწმყოს კავშირებითს. თუ აწმყოს კავშირებითი დროის მიხედვით განუსაზღვრელია, მყოფადის კავშირებითი – გარკვეულია, რომ მომავალი დროის გამოხატველია (პაპიძე 1983: 67).

მყოფადის კავშირებითი ყველაზე მეტად გვხვდება დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში (სანამ/მანამ/ვიდრე)...

საინტერესოა, როგორ გადმოდის თურქულ ენაში მყოფადის კავშირებითის ფორმები. მაგალითად: „სანამ მართლა წავიდოდე, ვისვამ ერთ კითხვას“ = თურქ. „Gitmeden önce / size bir soru soracağım“; „ვიდრე რაიმეს გააკეთებდეს, ადამიანმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს“ = თურქ. „İnsan bir şey yapana kadar (yapmadan) önce kendisine sormalı“. თურქულში მყოფადის კავშირებითის შესაბამისად გამოყენებულია ზმნისაგან ზმნიზედის მანარმოებელი ნიშანი (-Madan/Meden), რომელთა მეშვეობით დროის მონაკვეთია გამოხატული.

მყოფადის კავშირებითი თანამედროვე ქართულში გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით:

1. **ნატვრითობა.** ნატვრითი შინაარსის გადმოცემა მყოფადის კავშირებითის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფუნქციაა.

ქართულში ნატვრით წინადადებაში მყოფადის კავშირებითთან ერთად ხშირად გამოიყენება ნაწილაკი **ნეტავ** ან ნატვრის და სურვილის სემანტიკის ზმნები (იქვე: 75). მაგალითად, „ვინმე ჩემ მაგივრად გააკეთებდეს ნეტა ყველაფერს!“ = თურქ. „Keşke biri benim yerime her şeyi yapsa!“...

2. პირობითობა. მყოფადის კავშირებითი გამოიყენება პირობითობის შინაარსის მქონე წინადადებებში (იქვე: 78). მაგალითად, „ღიმილით რომ გააღებდეს კარებსა“ = თურქ. „Gülerek kapıyı açsa“; „ახლა ტელეფონი რომ ქონდეს და დარეკავდეს, კარგი იქნებოდა“ = თურქ. „Onun şimdi telefonu olsa ve arasa, ne iyi olurdu“...

რადგან მყოფადის კავშირებითი ანმცოს კავშირებითისაგან არის წარმოქმნილი, ზოგჯერ მათ შორის დაპირისპირება შემოიფარგლება ასპექტურ დონეზე. თუ ანმცოს კავშირებითი ერთგვარად უდროო კავშირებითია, მყოფადის კავშირებითი შეიცავს მომავალი დროის გაგებას (იქვე: 79).

გ. II კავშირებითი. თანამედროვე ქართულში კავშირებითი კილოს მწკრივთა შორის ყველაზე გავრცელებულია II კავშირებითი.

სალიტერატურო ქართულში II კავშირებითი გვხვდება კავშირებითი კილოსთვის დამახასიათებელ ნაირგვარ კონსტრუქციაში, მყარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში, ბრძანებითი კილოს გადმომცემ საშუალებათა შორის თუ სხვა (პაპიძე 1981: 147).

II კავშირებითი თანამედროვე ქართულში გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით:

1. ბრძანებითის გამოხატვა. წართქმითი ბრძანებითის მესამე პირისა და უკუთქმითი ბრძანებითის ყველა ფორმის გამოსახატავად გამოიყენება II კავშირებითი. მაგალითად, „ააშენოს, გააკეთოს; მოვიდნენ, წავიდნენ... არ ააშენოს, არ გააკეთოს; არ მოვიდნენ, არ წავიდნენ“ = თურქ. „İnşa etsin, yapsın; gelsinler, gitsinler... inşa etmesinler, yapmasın, gelmesinler, gitmesinler...“ წინადადებები თურქულში, ჩვეულებრივ, იმავე ფუნქციას ასრულებს, რაც ქართულშია.

2. მომავალი დროის გამოხატვა. II კავშირებითი ხშირად იხმარება დიალოგურ, კითხვა-მიგებით წინადადებებში. ამ შემთხვევაში II კავშირებითი ზოგჯერ მომავალი დროის გაგებითაა გამოყენებული (იქვე: 149). მაგალითად, წინადადებაში „რამდენი წიგნი მოგიტანო?“ = თურქ. „Sana kaç kitap getireyim?“...

მეორე კავშირებითის ფორმა თურქულად გამოხატულია ნატვრითი კილოს ფორმით (getireyim)... მიუხედავად იმისა, რომ კილოს თურქულში, საერთოდ, დროის გაგება არა აქვს, მაინც ნატვრით კილოს, უმეტეს შემთხვევაში მომავალ დროს უკავშირებენ (Benzer 2008: 87).

ნატვრითი კილოს შესახებ „ქართული ენის ენციკლოპედიაში“ მითითებულია, რომ იგი აღნიშნავს სასურველ მოქმედებას. სალიტერატურო ქართულში ნატვრით კილოს თავისი შინაარსის გადმოსაცემად საკუთარი ფორმები არ გააჩნია და ნატვრითობა კავშირებითი კილოს ერთ-ერთი მოდალური ნიუანსია. ნატვრითი კილო ძირითადად გადმოიცემა კავშირებითის ნაკვთებით, რომლებთანაც

ხშირად იხმარება **ნეტავ, ვინძლო, იქნებ, ეგებ...** ნაწილაკები (ენციკლოპედია 2008: 275).

3. აუცილებლობა. უნდა ნაწილაკისა და საჭიროა მოდალური სიტყვის საშუალებით II კავშირებითა შეიძლება გამოხატოს მომავალში აუცილებლად შესასრულებელი მოქმედება. მაგალითად, წინადადებაში – „ასე არ უნდა წაიკითხო!“ = თურქ. „Böyle okumamalısın!“ – **უნდა** ნაწილაკიანი II კავშირებითი თურქულშიც აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას გადმოსცემს აუცილებლობითი კილოს ნიშნების (-Malı, -meli) მეშვეობით.

4. II კავშირებითი იხმარება ისეთ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ **რთულ ქვეწყობილ წინადადებებში**, რომლებშიც გამოხატულია კატეგორიული უარყოფა რაიმე ფაქტისა, მოვლენისა (იქვე: 155). მაგალითად, წინადადებაში – „მე არ მყავს ისეთი მეგობარი, რომელსაც თავისუფალი დრო ჰქონდეს და არ დამეხმაროს“ = თურქ. „Boş zamanı olup da bana yardım etmeyecek arkadaşım yok“ – II კავშირებითის ფორმა თურქულში მომავალი დროის ნიშნით (-acak/ecek - etmeyecek) არის გამოხატული.

5. II კავშირებითი ინფინიტიურ კონსტრუქციაში. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ეს ფუნქცია თანამედროვე ქართულშიც გამოიყენება. მაგალითად, წინადადებაში – „მე მინდა, რომ კარგი განათლება მივიღო“ = თურქ. „Ben iyi bir eğitim almak istiyorum“ – II კავშირებითის ფორმა „მივიღო“ თურქულში მასდარული კონსტრუქციით არის გადმოცემული (Almak). ამ შემთხვევაში II კავშირებითთან დაკავშირებულია შესაძლებლობისა და ნებელობის სემანტიკის მზნები: **შეიძლება, შემძლია, შეუძლებელია, მინდა, იქნებ...** (იქვე: 158). მაგალითად, წინადადებაში – „შეიძლება მოვიდე, შეიძლება არა!“ = თურქ. „Belki gelirim, belki de gelmem!“ – II კავშირებითის ფორმა თურქულში განუსაზღვრელი დროის ნიშნითაა გამოხატული, რადგან ზმნა „შეიძლება“ თურქულში ზოგადად განუსაზღვრელ დროსთან ერთად იხმარება. „მე მინდა დავრჩე და მოვისმინო“ = თურქ. „Ben kalmak ve sizi dinlemek istiyorum“; „გთხოვთ გამიგოთ და გამათავისუფლოთ“ = თურქ. „Beni anlamanızı ve bana müsaade etmenizi istirham ediyorum“. ამ წინადადებაში II კავშირებითი სახელზმნის ფორმებითაა გადმოცემული (anlamanızı, müsaade etmenizi)...

6. თანამედროვე ქართულში II კავშირებითა, აგრეთვე, **რაც (არ) უნდა თქვას, გააკეთოს, იფიქროს...** ტიპის ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში. მაგალითად, წინადადებაში – „რაც არ უნდა იჩქაროს, მაინც დაგვიანებულია“ = თურქ. „Ne kadar acele ederse etsin, yinede geç kalınmış“ – (რაც არ უნდა) თურქულად პირობითი კილოს ნიშნით (-sa/-se), ხოლო (იჩქაროს) მიმღეობითი ფორმითაა (geç kalınmış) გამოხატული.

7. პირობითობა. II კავშირებითაა **რომ** ნაწილაკის საშუალებით შეიძლება გამოხატოს პირობითობა. წინადადებაში – „შენც რომ გააკეთო, ცუდი არ იქნება“ = თურქ. „Sen de yapsan kötü olmaz!“ – **რომ** კავშირის მეშვეობით პირობითობაა გამოხატული ორივე ენაში. ქართულში **რომ** კავშირით გადმოიცემა პირობითობა. ის თურქულში პირობითი კილოს ნიშნებითაა (-sa/-se) გამოხატული. თანამედროვე ქართულში ზოგ შემთხვევაში პირობითობას გამოხატავს **ოღონდ** ნაწილაკიც (იქვე: 179). მაგალითად, წინადადებაში – „ოღონდ არ დაგალევინოს...“ = თურქ. „Yeterki içirmesin...“ – ჩვენი აზრით, პირობითობის გამომწვევია **ოღონდ** ნაწილაკი და არა II კავშირებითი.

8. თხოვნითობა. ნატვრითი მოდალობის გადმოცემა II კავშირებითი კილოს ერთ-ერთი გამოკვეთილი და დამახასიათებელი ფუნქციაა. მაგალითად, „ნეტავ დღეს კარგი ამინდი იყოს“ = თურქ. „Keşke bugün hava iyi olsa!“ – ორივე წინადადებაში თხოვნა არის გამოხატული.

9. ალბათობა. ქართულში ალბათობის მნიშვნელობა II კავშირებითთან **იქნებ, ეგებ** ნაწილაკების საშუალებით მიიღება. მაგალითად, „იქნებ დღეს არ მოვიდეს“ = თურქ. „Belki de bugün gelmez“... II კავშირებითი ამ შემთხვევაში თითქოს უფუნქციოა, რადგან ალბათობის მნიშვნელობის გამოხატვაში **იქნებ** ნაწილაკი უფრო დიდ როლს თამაშობს.

10. ეჭვის მოდალობა. ქართულში ეჭვის მოდალობის გამომხატველია **(არა) მგონი(ა)** ნაწილაკი. **(არა) მგონი(ა)** ნაწილაკი II კავშირებითთან გამოხატავს შედარებით კატეგორიულ ეჭვს (იქვე: 177). მაგალითად, წინადადებაში – „არა მგონია ჩემები დღეს მოვიდნენ“ = თურქ. „Bugün bizimkilerin geleceğini zannetmiyorum“ – II კავშირებითის ფორმა თურქულად მომავალი დროის გამომხატველი მიმღეობის ფორმითაა გადმოცემული. როგორც ქართულში, ისევე თურქულში ეჭვის გამომწვევია **(არა) მგონი(ა)** ნაწილაკი.

დ. III კავშირებითი. III კავშირებითი უღლების სისტემაში ახალი ფორმაციის მწკრივია. თანამედროვე ქართულში III კავშირებითი რთულ კონსტრუქციებში გამოიყენება და სპეციალური ლიტერატურის მიხედვით გვხვდება სამ შემთხვევაში: 1. როცა მთავარი წინადადება უარყოფითია (იყენებს **არ** და **ვერ** ნაწილაკებს). მაგალითად, „არ მახსოვს, რომ ოდესმე შემეწუხებინოს ჩემის ურიგო ყოფაქცევით ჩემი კეთილისმყოფელი“ = თურქ. „Benim iyiliğimi isteyenleri hiçbir zaman rahatsız ettiğimi hatırlamıyorum“; 2. როცა მთავარი წინადადების შემასმენელი საეგებიო, არარეალურ გაგებას იძლევა. ამ დროს დამოკიდებული წინადადების შემასმენელი III კავშირებითის მწკრივითაა მოცემული. კავშირებად გამოყენებულია **რომ, თითქოს** და **ვითომც**: „საფიქრალია, რომ ის ვახტანგის დედა არ ყოფილიყოს“ = თურქ. „Bunun Vahtang'ın annesi olmaması düşüncülemez!“; 3. პოტენციალისის თუ ოპტატივის გამომხატველ სიტყვებს ეხმარება

III კავშირებითი (ფეიქრიშვილი 2009: 42-43): „ყველა სურვილი მალე აგსრულდებოდეს!“ = თურქ. „İnşallah bütün isteklerin yerine gelir!“

III კავშირებითი შეიძლება შეგვხვდეს ნატვრა-სურვილისა და დალოცვა-წყევლის აღმნიშვნელ წინადადებებში:

„კიდევ უამრავი წარმატება მომელოცოს; მუდამ ბედნიერები და გახარებულები ყოფილიყავით!..“ = თურქ. „Birçok kez daha başarıınızı kutlayalım; Bu beşikte altı erkek çocuk büyüyesin!..“

თურქულ ენაში III კავშირებითის შესაბამისი არც დროა და არც კილო.

III კავშირებითის შემცველი წინადადებები თურქულში ითარგმნება მისი შინაარსიდან გამომდინარე.

ქართული ენის შემსწავლელებისა და მთარგმნელებისათვის კიდევ ერთი პრობლემა ახლავს II კავშირებითის ფორმების გაგებას: II კავშირებითის ფორმებისაგან ერთი და იმავე ფორმით ინარმოება ბრძანებითი და ნატვრითი კილოები. მაგალითად: ხვალ გიორგიმ დამირეკოს! ხვალ გიორგიმ აუცილებლად უნდა დამირეკოს! შდრ., ნეტავ, ხვალ გიორგიმ დამირეკოს! აღნიშნული პრობლემის თავიდან ასაცილებლად ენის შემსწავლელი თუ მთარგმნელი უნდა დააკვირდეს კონტექსტს. როგორც ა. შაჰიძე აღნიშნავს, II კავშირებითის ფორმით გადმოცემული ზმნების მქონე კონსტრუქციათა ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თანამედროვე ქართულში ირეალობის სხვადასხვა მოდალობის გადმოსაცემად ძირითადი და განმსაზღვრელია წინადადებათა კონსტრუქცია (შაჰიძე 1983: 16).

ქართულ-თურქული ზმნის კილოების ფორმათა შედარებითი ანალიზის შედეგად კარგად ჩანს სტრუქტურულად განსხვავებულ ორ ენას შორის როგორც საერთო, ისე განსხვავებული მხარეები. მსგავსება და განსხვავება ეხება სემანტიკური, გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების შესაბამისობას.

დამონშებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი 1988: გოგოლაშვილი გ., ქართულის ზმნის უღლების სისტემა. თბილისი, 1988.

ენციკლოპედია 2008: ქართული ენა, ენციკლოპედია. თბილისი, 2008.

კვაჭაძე 1981: კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I. თბილისი, 1981.

კვაჭაძე 1988: კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი, 1988.

შაჰიძე 1983: შაჰიძე ა., მყოფადის კავშირებითის ნაკვთისათვის ქართულში. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, V. თბილისი, 1983.

შაჰიძე 1984: შაჰიძე ა., II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბილისი, 1981.

პაპიძე 1984: პაპიძე ა., ანწყოს კავშირებითი ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI. თბილისი, 1984.

ფეიქრიშვილი 2009: ფეიქრიშვილი უ., ენათმეცნიერული ძიებანი, თბილისი, 2009.

ჩიქობავა 1952: ჩიქობავა, არნ. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952.

ჯორბენაძე 1986: ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა ზმნის მორფონოლოგიის ზოგი ასპექტი. XI რეგიონული სესია. თბილისი, 1986.

Benzer 2008: Benzer A., Doktora Tezi: Fiilde Zaman Görünüş Kip ve Kiplik Marmara Üniversitesi Eğitim Bilimleri Enstitüsü, Türkçe Eğitimi Ana Bilim Dalı. Türkçe Öğretmenliği Bilim Dalı. İstanbul, 2008.

Korkmaz 2017: Korkmaz Z., Türkiye Türkçesi Grameri Şekil Bilgisi, Türk Dili Kurumu Yayınları, Ankara, 2017.

Sharashenidze 2017: Sharashenidze N., Grammaticalization of unda form in Georgian. Historical Linguistics of the Caucasus, book of Abstracts. Paris, 12-14 april, 2017. <https://immocal.ifcaistanbul.net>